პროტოკოლი N 9
ტუბერკულოზის და აივ/შიდსის კო-ინფექციის მართვა

მიზანი:

- ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში აივ/შიდსის გამოვლენა;
- ტუბერკულოზის და აივ/შიდსის კო-ინფექციის მკურნალობაზე დამყოლობის უზრუნველყოფა;

სამიზნე ჯგუფი: ტუბერკულოზის ნებისმიერი ფორმით დაავადებული პაციენტი.

ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი: პროტოკოლი განკუთვნილია ამბულატორიული და ჰოსპიტალური სექტორის პრაქტიკოსი ექთნებისთვის.

სამედიცინო დაწესებულებაში პროტოკოლის გამოყენების პირობები: პროტოკოლის გამოყენება აუცილებელია ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც მკურნალობენ და სამედიცინო მეთვალყურეობას გადიან ტუბერკულოზით დაავადებული და აივ/შიდსით კო-ინფიცირებული პაციენტები.

ზოგადი რეკომენდაციები

- ტუბერკულოზის ნებისმიერი ფორმით დაავადებული პაციენტი დიაგნტოსტიკისთანავე გამოკვლეული უნდა იყოს აივ/შიდსზე;
- ტუბერკულოზით და აივ/შიდსით კო-ინფიცირებული პაციენტებისათვის მედპერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტუბსაწინააღმდეგო და ანტირეტროვირუსული ერთობლივი მკურნალობისადმი დამყოლობა.

პროცედურის თანმიმდევრობა

- აივ/შიდსზე გამოსაკვლევად ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის მიმართვისას დაიცავით მისი პრივატულობა/კონფიდენციალობა;
- ჰკითხეთ პაციენტს აინტერესებს თუ არა თავისი აივ სტატუსი, თუ არ აინტერესებს, აუხსენით რატომ არის მნიშვნელოვანი მისი ცოდნა;
- აუხსენით პაციენტს, რომ იმუნოსუპრესიული მდგომარეობის გამო ნებისმიერი აივ ინფიცირებული შეიძლება დაავადდეს ტუბერკულოზით. მათთან აივინფიცირების პირველადი მანიფესტირება შესაძლოა ტუბერკულოზით მოხდეს, ამიტომ ტუბერკულოზით დაავადებულ ნებისმიერ პაციენტს უნდა ჩაუტარდეს აივ/შიდსზე გამოკვლევა;
- აუხსენით პაციენტს, რომ ტესტი აივ ინფიცირებაზე მნიშვნელოვანია, რადგან აივ/შიდსის ფონზე ტუბერკულოზი განსხვავებული სიმპტომოკომპლექსით მიმდინარეობს და ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის გარდა საჭიროებს ანტირეტროვირუსულ მკურნალობას;
- თუ აივ ინფექციაზე ტესტი უარყოფითია, აუხსენით პაციენტს მისთვის გასაგებ ენაზე, რომ შემდგომში ინფიცირების პრევენციისთვის აუცილებალია სექსუალური კონტაქტის დროს კონდომის გამოყენება, ასევე არ გამოიყენონ სხვისი ნახმარი ნემსები და მსგავს საგნებთან კონტაქტის დროს გამოიჩინონ სიფრთხილე;
- აუხსენით პაციენტს, რომ ძალიან მცირე შემთხვევაში ტესტი შეიძლება იყოს უარყოფითი აივ ინფიცირების შემთხვევაშიც (თუ ინფიცირება მოხდა ზუსტად ტუბერკულოზის დიაგნოსტირების მომენტში), სწორი შედეგის მისაღებად აუცილებელია 3 თვეში ჩატარდეს განმეორებითი ტესტი;

- თუ აივ ინფექციაზე ტესტი დადებითია, აუხსენით პაციენტს რომ მას ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობასთან ერთად სჭირდება ანტირეტროვირუსული მკურნალობაც. ანტირეტროვირუსული მკურნალობის ჩატარების გარეშე დაბალია ტუბერკულოზის განკურნების და მაღალია მკურნალობის დროს ლეტალური გამოსავლის ალბათობა;
- ექთანი ვალდებულია, კო-ინფიცირებულ პაციენტს დაეხმაროს ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობასთან ერთად ჩაერთოს ანტირეტროვირუსულ მკურნალობაში;
- ყურადღება გაამახვილეთ იმ მოსალოდნელ გვერდით მოვლენებზე, რომლებიც შეიძლება განვითარდეს ტუბსაწინააღმდეგო და ანტირეტროვირუსული ერთობლივი მკურნალობის ფონზე და მათი გამოვლენისთანავე აცნობეთ ექიმს.

წყარო:

Management of Tuberculosis Training for Health Facility Staff; 2nd edition; 2010